შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჯიუს რექტორის

ბრძანება # 01-02/46

თბილისი **“20“ ივლისი, 2023 წ.**

აკადემიური და პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს მე-6 მუხლის, მე-2 პუნქტის, ,,ი'' ქვეპუნტქის, სამართლის სკოლის დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტისა და სამართლის სკოლის საბჭოს 2023 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების (ოქმი N8) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

გამოცხადდეს ღია კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

7 საშტატო ერთეულზე კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით.

აკადემიურინიშნით

1. **1.** **კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისვიწროსფერო -** სამართალი (042)

კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისდეტალურისფერო - საჯარო სამართალი (0421.2.1)
სასწავლოკურსი- ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი;
ვაკანტურიადგილი- პროფესორი - 1 საშტატო ერთეული (აფილირების პირობით)

1. **2.** **კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისვიწროსფერო -** სამართალი (042)

კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისდეტალურისფერო - საჯარო სამართალი (0421.2.1)
სასწავლოკურსი- ადმინისტრაციული სამართალი
ვაკანტურიადგილები- ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტი - 1 საშტატო ერთეული

1. **კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისვიწროსფერო-** სამართალი (042)

კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისდეტალურისფერო - კერძო სამართალი (0421.2.3)
სასწავლოკურსი - შრომის სამართალი
ვაკანტურიადგილი - პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

1. **კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისვიწროსფერო**- სამართალი (042)

კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისდეტალურისფერო - სისხლის სამართალი (0421.2.2)
სასწავლოკურსი - იურიდიული ეთიკის საფუძვლები
ვაკანტურიადგილი - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

1. **კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისვიწროსფერო**- სამართალი (042)

კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისდეტალურისფერო - სისხლის სამართალი (0421.2.2)
სასწავლოკურსი - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი
ვაკანტურიადგილი - 1 ასისტენტი (აფილირების პირობით)

პროფესიულინიშნით

1. **კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისვიწროსფერო**- სამართალი (042)

კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისდეტალურისფერო - კერძო სამართალი (0421.2.3)
სასწავლოკურსი - საკორპორაციოსამართალი
ვაკანტურიადგილი - ასისტენტპროფესორი - 1 საშტატო ერთეული

1. **7. კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისვიწროსფერო -** სამართალი (042)

კლასიფიკატორისშესაბამისისწავლისდეტალურისფერო - საჯარო სამართალი (0421.2.1)
სასწავლოკურსი- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი
ვაკანტურიადგილი- ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

1. აკადემიური ნიშნით კონკურსანტმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.
ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით).
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
ე) პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;
ვ) საკონკურსო თანამდებობის/დარგის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომები, ან მათი ასლები (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ზ) შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტის სილაბუსები (ელექტრონული ვერსია);
თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ

დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

2. პროფესიული ნიშნით კონკურსანტმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით).

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ვ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

7. კონკურსის ეტაპები

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე ხდება კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო განაცხადით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

ბ) კონკურსის მეორე ეტაპზე ტარდება გასაუბრება, რას შეიძლება მოიცავდეს კონკურსანტის მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარებას.

8. კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი

ა) აკადემიურ კონკურსში მონაწილე კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწვეტილება გაასაჩივროს გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

ბ) საჩივრებს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია, დამტკიცებიდან ხუთი დღის ვადაში.

9. კონკურსის ვადები

ა) ღია კონკურსი ცხადდება **2023 წლის 20 ივლისს**

ბ) საბუთების მიღება იწარმოებს **2023 წლის 25 აგვისტოდან 01 სეტემბრის ჩათვლით ჩათვლით**.

გ) კონკურსის პირველი ეტაპი საბუთების გადარჩევა ჩატარდება **2023 წლის 05 სექტემბრამდე**

დ) კონკურსის მეორე ეტაპი საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდება **2023 წლის 07 სექტემბერს** - (გასაუბრების ზუსტი თარიღი და დრო კანდიდატს ეცნობება კონკურსის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ).
ე) კონკურს გავლილ მონაწილეთა სია გამოქვეყნდება **2023 წლის 11 სექტემბერს**
ვ) სააპელაციო განაცხადები მიიღება **2023 წლის --------11 სექტემბრიდან -- 14 სექტემბრის ჩათვლით**
ზ) კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება **2023 წლის - 15 სექტემბერს**

10. მარკეტინგისა და კომუნიკაციების სამსახურსს აღნიშნული ბრძანების შესახებ განცხადება გამოაქვეყნოს სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე
11. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის ჯიუს

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

კანცლერი
ელისო ელისაშვილი